MES 4 23 0000121244

03/02/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე-სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პერტე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
ია გიგიბერია - შპს ქართული სასწავლებლის - თბილისის მასწავლებელი, ქიმიის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მზია ყანჩელი -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
ნინო სტეფანიშვილი--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია
მანანა ნაჭყებია-სკოლის დირექტორი

შპს ოლიმპი თბილისი +
ლელა წიქარიშვილი-სკოლის აკადემიური დირექტორი

ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
თეა მახათელაშვილი-სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

შპს დეა
ვერა ყურულაშვილი-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზია
ქეთევან ბოტკოველი
მაკა ნადარეიშვილი

შპს ოლიმპი თბილისი +
ცირა ნიკოლაშვილი
ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა
ნანა მონიავა
ნინო მუმლაძე

შპს დეა
დავით ლიპარტელიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 20 იანვარს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 17-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 20-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ოლიმპი თბილისი + -ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. შპს დეა-ს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და მაკა ნადარეიშვილმა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 29, 30 ნოემბერსა და 1-ელ დეკემბერს. ექსპერტის თქმით, გიმნაზია განთავსებული იყო სამ-სართულიან მანსარდულ შენობაში. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ უძრავი ქონების თხოვების ხელშეკრულების თანახმად, სკოლას არსებული ფართი, გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს მიერ და 2016 წლის 25 ოქტომბრის შეთანხმების საფუძველზე, ვადა არსებულ ფართზე განესაზღვრა 2029 წლის 26 ივნისამდე.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის ბიბლიოთეკაში განთავსებული იყო 7180 წიგნადი ერთეული, რომელთა შორისაც იყო მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა. მისი თქმით, ბიბლიოთეკაში იმართებოდა საინტერესო აქტივობები, მათ შორის, ლიტერატურული თამაშები, ვიქტორინები, წიგნის კვირეული, ინტეგრირებული გაკვეთილები, მკითხველთა კონფერენციები და სხვ. ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლა ფლობდა 50 კვ.მ. სპორტულ დარბაზს და ჰქონდა 600 კვ.მ. ფართის მქონე ღია სპორტული მოედანი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად მუშაობდა. მისი თქმით, თვითმმართველობის წევრები ერთმანეთს ხვდებოდნენ კვირაში ერთხელ, მსჯელობდნენ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე და იღებდნენ გადაწყვეტილებას. ექსპერტის თქმით, მოსწავლეები ახორციელებდნენ აქტივობას სახელწოდებით-წერილი დირექტორს, რომლის ფარგლებშიც, მათ ჰქონდათ შესაძლებლობა ანონიმურად მიეწერათ წერილი სკოლის დირექტორისათვის და დაეფიქსირებინათ საკუთარი მოსაზრება და დამოკიდებულება გარკვეულ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულად შეესაბამებოდა 2022 წლის 21 მარტის N41ნ/01-23/ნ ბრძანებით დამტკიცებულ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტს და სამედიცინო მომსახურების სივრცის ფუნქციონირების წესს.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ სკოლაში ფუნქციონირებდა ისტ-ის კაბინეტი. მისი თქმით, დაწესებულებას ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად ინტერნეტ-ქსელში ჩართული 26 კომპიუტერი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიდეო კამერების გამოსახულების მონიტორინგი და ჩაწერა ხორციელდებოდა სპეციალურად გამოყოფილ ოთახში და მასზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა უსაფრთხოების დაცვის კომენდატს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 18 საკლასო ოთახი, რომლებშიც ჯამურად განთავსებული იყო 247 ინდივიდუალური მერხი და შესაბამისი რაოდენობის სკამი. მისი თქმით, საერთო ჯამში სკოლის მფლობელობაში იყო 460 ერთადგილიანი მერხი და ამავე რაოდენობის სკამი. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები. გიმნაზიას, ასევე,

შემუშავებული ჰქონდა ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები“, რომელიც შეთანხმებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა სხვადასხვა პროექტს. ის თანამშრომლობდა არასამთავრობო ორგანიზაცია ,,დრონთან“, რომელიც კოორდინირებას უწევდა ERASMUS + საერთაშორისო პროექტების განხორციელებას სკოლაში. აღნიშნული მიმართულებით, სკოლაში განხორციელდა არაერთი საერთაშორისო პროექტი, რომელთა შორისაც, იყო 2022 წლის აპრილში განხორციელებული პროექტი კონფლიქტის მართვა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა მოინახულეს ხორვატია, დაესწრნენ ვორქშოპებს, გაეცნენ ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს. ასევე, ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, გიმნაზია 2017 წლიდან ყოველწლიურად ატარებდა ,,სააღდგომო ფესტივალს“. ფესტივალის ფარგლებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა სკოლის ბავშვები. გიმნაზიაში, ასევე, შექმნილი იყო ,,შემწე საზოგადოება“, რომლის ფარგლებშიც გიმნაზია იძიებდა ადამიანსა თუ ორგანიზაციებს, რომლებიც მატერიალურ დახმარებას გაუწევდნენ სკოლას. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლაში მიმდინარე პროექტი ,,ელიონი“ მიზნად ისახავდა მოსწავლეებში შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სკოლებში შემოქმედებითი, პროზაული, პუბლიცისტური, სამეცნიერო და მთარგმნელობითი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენას. ქეთევან ბოტკოველმა, ასევე, ისაუბრა, დაწესებულების მიერ განხორციელებული სოციალური პროექტის ,,საახალწლო სოფელის“ შესახებ, რასთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში, მოსწავლეებში ხელსაქმისა და მეწარმეობის წახალისების მიზნით, დაწესებულებამ დაგეგმა და განახორციელა საშობაო ბაზრობა-მოსწავლეთა ნამუშევრების, ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა. შემოსული თანხით კი დაეხმარნენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმა შედგენილი იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე. მისი თქმით, არჩევითი საგნები ისწავლებოდა X, XI და XII კლასებში. პროექტული სწავლების მიმართულებით, სკოლას შერჩეული ჰქონდა X კლასში პროექტი სამოქალაქო განათლებასა და პროექტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელ საგნებს - საღვთო რჯული და ძველი ქართული ენა. გარდა ამისა, დაწესებულება მოსწავლეებს, სთავაზობდა დამატებით უფასო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას წრეებისა და კლუბების სახით, კერძოდ, სკოლაში ფუნქციონირებდა ბიბლიის შემსწავლელთა წრე და სამოქალაქო განათლების კლუბი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხებოდა, თუმცა, დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი ჰქონდა რეგულაციები ინკლუზიური განათლების საჭიროების შემთხვევაში განსახორციელებლად.

ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამებოდა ეროვნულ სასწავლო გეგმას. მისი თქმით, მოსწავლეებთან გასაუბრებით ირკვეოდა, რომ ისინი იცნობდნენ შეფასების სისტემასა და პრინციპებს. ასევე, მოსწავლეებთან და მშობლებთან გასაუბრებით, დგინდებოდა, რომ ისინი მასწავლებლებისგან იღებდნენ სიტყვიერ და წერილობით უკუკავშირს. აქვე, ექსპერტმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი.

ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი. მისი თქმით, სკოლა ორიენტირებული იყო სასწავლო გარემოს ხარისხის გაუმჯობესებაზე. ხარისხის მართვის მენეჯერი აკონტროლებდა სკოლის წინაშე არსებული ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას, ასევე, მართავდა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს, კოორდინირებას უწევდა სასწავლო-სააღმზრდელო პროგრამებს, უზრუნველყოფდა სწავლა-სწავლების ხელშემწყობი მექანიზმების სრულყოფას და ხელს უწყობდა პედაგოგთა პროფესიულ ზრდას.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა სტრატეგიული განვითარების ექვსწლიანი და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ასევე, დაწესებულების მიერ შემუშავებული იყო აღნიშნული გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე რეაგირების მექანიზმები. ექსპერტის განმარტებით, სკოლის სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული მიზნები, სრულად მოიცავდა ყველა იმ საკითხს, რომელიც სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას ემსახურებოდა. ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, დაწესებულებას მიეცა რჩევა სამოქმედო გეგმაში, პასუხისმგებელ პირებთან ერთად აესახა ინფორმაცია შემსრულებელი პირებისა და შესრულების ინდიკატორების შესახებ.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ასწავლიდა 31 მასწავლებელი, რომელთაგან 4 იყო უსტატუსო მასწავლებელი. მისი თქმით, დაწესებულებას უსტატუსო მასწავლებლების პოზიციაზე გამოცხადებული ჰქონდა ვაკანსია. ექსპერტის თქმით, გიმნაზიის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილად იყო წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ქეთევან ბოტკოველმა განმარტა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობები. ექსპერტის განცხადებით, ადმინისტრაციასთან გასაუბრებით ირკვეოდა, რომ აღნიშნული ცნობების მისაღებად სკოლის თანამშრომლებს გაკეთებული ჰქონდათ განაცხადი შესაბამისი მომსახურების სააგენტოში. ექსპერტმა დაადასტურა, რომ დასკვნის პროექტის არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა ყველა დასაქმებული პირის ცნობა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა მასწავლებლის პროფესიული განვითარების მექანიზმი. მისი თქმით, დაწესებულებას ექსპერტთა მხრიდან მიეცა რჩევა მასწავლებლების პროფესიული განვითარების მექანიზმებთან ერთად შეემუშავებინა სხვა დასაქმებული პერსონალის განვითარების მექანიზმებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, დასრულებული იყო თუ არა დაწესებულებაში უსტატუსო მასწავლებლების პოზიციაზე გამოცხადებული ვაკანსია და შეირჩა თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პედაგოგები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, გიმნაზიის დირექტორმა, მანანა ნაჭყებიამ, განმარტა, რომ ვაკანსიის გამოცხადების შედეგად, დაწესებულებამ მიიღო ორი მასწავლებელი. აქვე, გიმნაზიის დირექტორის განმარტებით, დაწესებულებამ განაახლა ვაკანსია სპორტის მასწავლებლის ასაყვანად.

საბჭოს წევრმა, ია გიგიბერიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში რას თვლიდა სკოლა მთავარ გამოწვევად და რას მიიჩნევდა პრიორიტეტულ საკითხად. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, მანანა ნაჭყებიამ განმარტა, რომ დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა ცენტრალური გათბობა, შესაბამისად, სკოლა საკუთარ პრიორიტეტულ მიმართულებად შენობაში ცენტრალური გათბობის დამონტაჟებას მიიჩნევდა. სასწავლო პროცესის მიმართულებით კი დაწესებულების პრიორიტეტს კვალიფიციური კადრების სკოლაში დასაქმება წარმოადგენდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა საბჭოს წევრებთან და ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.

სკოლის დირექტორის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 17 მარტის N52 გადაწყვეტილებით ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიას 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 17 მარტს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქო, ზუგდიდის წმიდა გიორგის სახელობის გიმნაზიას (ს/კ: 220414969) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 17 მარტი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

2. შპს ოლიმპი თბილისი +-ის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა

ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ცირა ნიკოლაშვილმა და ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 06 და 07 დეკემბერს. მისი თქმით, სკოლაში შექმნილი იყო დაცული, უსაფრთხო და კეთილგანწყობილი გარემო. სასწავლო პროცესი ორიენტირებული იყო მოსწავლეთა პროგრესზე და პასუხობდა მათ საჭიროებებს. ცირა ნიკოლაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში ხორციელდებოდა ისეთი პროექტები, როგორებიც იყო ,,მდგრადი განვითარების მიზნების კვალდაკვალ", ,,წიგნიერება და მედიაწიგნიერება მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის", ცნობიერების ამაღლება, ინტერპრეტაცია, ლიტერატურული ნარატივი და მედიადისკურსი." ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში აღინიშნა ენერგოდაზოგვის დღე, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის საერთაშორისო დღე. მისი თქმით, სკოლაში ხორციელდებოდა მრავალფეროვანი შემეცნებითი, სპორტული და სახელოვნებო აქტივობები სკოლის ბაზაზე. სკოლის მოსწავლეები, ასევე, მონაწილეობდნენ სკოლის გარეშე კონკურსებსა და ოლიმპიადებში. ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აბარებდნენ საქართველოსა და საზღვარგარეთ არსებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო საგნებთან ერთად სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით მომსახურებას. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი სავალდებულო საგნების სახით ისწავლებოდა: ორფი (I-II), ჭადრაკი (II-V), ცურვა (I-XII), წიგნიერება (III-VI). სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო საგნები კი იყო: ცეკვა (I-II) და გერმანული ენა (VIX). სკოლაში გაძლიერებულად ისწავლებოდა მათემატიკა და ინგლისური ენა.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განცხადა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას N3-ში. მისი თქმით, მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი იყო: 3079 კვ.მ, რომელზედაც განთავსებული იყო 8 შენობა-ნაგებობა. აღნიშნული შენობა-ნაგებობიდან ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოიყენებდა შენობის ნახევრადსარდაფი, შენობის პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულები. შენობის პირველ სართულზე დამოუკიდებელი შესასვლელით განთავსებული იყო სკოლამდელი აღზრდის ჯგუფები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ფართის გამიჯვნის შესახებ ბრძანება რომლის მიხედვით, პირველი სართულის, საერთო ფართიდან-1022, 58 კვ.მ. სკოლამდელი ჯგუფებისთვის გამოიყო 288,11კვ.მ.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ შენობის შესასვლელში მოწყობილი იყო პანდუსი, თუმცა, პანდუსის პარამეტრები, კერძოდ, კი მისი დახრის კუთხე ვერ უზრუნველყოფდა შშმ პირთა უსაფრთხო შესვლას დაწესებულებაში. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია შენობის შემოსასვლელში მოეწყო პანდუსი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე " საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის N41 დადგენილების შესაბამისად. ექსპერტის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას დაწესებულებამ განმარტა, რომ 2022-2023 სასწავლო წლის დასრულებისთანავე იგეგმებოდა სკოლის შემოსასვლელის რეკონსტრუქცია, რომლის ფარგლებშიც, პანდუსის დახრის კუთხე შეიცვლებოდა ისე, რომ უზრუნველეყო შშმ პირთა უსაფრთხო შესვლა დაწესებულებაში.
ცირა ნიკოლაშვილის თქმით, დაწესებულების ეზოში მოწყობილი იყო ერთი ხელოვნურსაფარიანი ღია ტიპის მოედანი, რომელიც ვიზიტის დროს არ იყო გამიჯნული სკოლის მიმდებარედ არსებული ტერიტორიისგან. შესაბამისად, დაწესებულებას ექსპერტების

მხრიდან მიეცა რეკომენდაცია მოედნის ტერიტორიის გამიჯვნასთან დაკავშირებით, რითაც დაწესებულება უზრუნველყოფდა მოსწავლეთა უსაფრთხოებას. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა.
საბჭოს სხდომას 16:46 საათზე შეუერთდა საბჭოს წევრი ქეთევან ნატროშვილი.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განმარტა, რომ სკოლის შიდა ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო საევაკუაციო გეგმები. მისი თქმით, ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ შენობის რამდენიმე სართულზე გამოკრული იყო ახლად შემუშავებული საევაკუაციო გეგმა, ხოლო რამდენიმე სართულზე- ძველი საევაკუაციო გეგმები, რომლებიც შემუშავებული იყო ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე ‘’საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადგენილების დამტკიცებამდე. შესაბამისად , ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებას აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, განეახლებინა საევაკუაციო გეგმები. ცირა ნიკოლაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში გადააგზავნა კორესპონდენცია საევაკუაციო გეგმების შემუშავების მოთხოვნის შესახებ. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში დასაქმებული იყო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შენობის დაცვას უზრუნველყოფდნენ შესაბამისი თანამშრომლები, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ექსპერტის თქმით, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია სპეციალურ ჟურნალში აღერიცხა ვიზიტორები. ცირა ნიკოლაშვილმა დაადასტურა, რომ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და გადმოაგზავნა ვიზიტორთა აღრიცხვის ჟურნალის ნიმუში.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულების შინაგანაწესის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ რიგი საკითხები არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, კერძოდ, მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელების დადგენის ნაწილში შინაგანაწესით განსაზღვრული იყო, რომ მოსწავლის დაგვიანების შემთხვევაში მოსწავლე არ დაიშვებოდა საგაკვეთილო პროცესზე, ხოლო სამი შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში ის არ დაიშვებოდა სასწავლო პროცესზე მთელი დღის განმავლობაში. ასევე, მოსწავლის მიმართ დისციპლინური დევნა შესაძლებელი იყო დაწყებულიყო იმ ქმედებისთვის, რომელიც მან სკოლისაგან თავისუფალ დროს ან სკოლის ტერიტორიის გარეთ ჩაიდინა და სხვ. ექსპერტის განმარტებით, აღნიშნული და სხვა ჩანაწერები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონს, ზოგადი განათლების შესახებ. შესაბამისად, სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია შინაგანაწესი შესაბამისობაში მოეყვანა მოქმედ კანონმდებლობასთან. ცირა ნიკოლაშვილმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე უზრუნველყო შინაგანაწესის კორექტირება და შესაბამისობაში მოყვანა. ექსპერტმა, ისაუბრა, ასევე, დაწესებულების შინაგანაწესში გაწერილი დასაქმებულთა წახალისებისა და სანქციების სისტემის შესახებ და აღნიშნა, რომ დასაქმებულთა მიმართ დისციპლინური სახდელი-საყვედური გამოიყენებოდა, მათ შორის, „მოსწავლის ან კოლეგის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფისათვის.“ სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული გადაცდომისათვის გამოეყენებინა გონივრული და თანაზომადი სახდელი. ექსპერტის განმარტებით, სკოლის მიერ შინაგანაწესში შეტანილი ცვლილებების შემდეგ, მოსწავლის ან კოლეგის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის გაუქმდა სახდელის სახე-საყვედური. მისი თქმით, შინაგანაწესი ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზე ითვალისწინებდა სამსახურიდან გათავისუფლებას.
ექსპერტმა, ცირა ნიკოლაშვილმა, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განხორციელებას უზრუნველყოფდა სკოლაში დასაქმებული 89 პირი, რომელთაგან 59 იყო პედაგოგი. ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, სპორტის მასწავლებელს არ უდასტურდება შესაბამისი სახელოვნებო ან სასპორტო უმაღლესი განათლება ან/და სახელოვნებო ან სასპორტო პროფესიული განათლება. მისი კვირეული საათობრივი დატვირთვა იყო 31 საათი. ექსპერტის თქმით, ის ფლობდა საქართველოს ფეხბურთის

ფედერაციის მწვრთნელთა განათლების C ლიცენზიას, ასევე, გავლილი ჰქონდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ტრენინგი და მწვრთნელთა პროფესიული ამაღლების ტრენინგი. ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ მასთან შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული იყო მასწავლებლის ასისტენტის პოზიციაზე. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, სკოლამ ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში, გამოაცხადა კონკურსი სპორტის მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე. აქვე, ცირა ნიკოლაშვილმა, აღნიშნა, რომ ბუნებისმეტყველების ერთ მასწავლებელს, დიპლომის მიხედვით, არ უდასტურდებოდა საგნის სწავლების კომპეტენცია, რის შედეგადაც, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას გამოეცხადებინა ვაკანსია ბუნებისმეტყველების მასწავლებლის პოზიციაზე. ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია და ვიზიტის პერიოდში, გამოაცხადა კონკურსი ბუნებისმეტყველების მასწავლებლის ვაკანტურ პოზიციაზე.

ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტების მიერ, ასევე, შესწავლილ იქნა შპს ოლიმპი თბილისი +-ში მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის ფარგლებში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გაცემული დასკვნა. მისი თქმით, აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში გაცემული იყო 3 რეკომენდაცია, რომელთაგან ორი ექსპერტებმა მიიჩნიეს შესრულებულად, თუმცა, მესამე რეკომენდაცია მათი მხრიდან შეფასდა, როგორც შეუსრულებელი. აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა შემდეგს „სკოლამ, მასწავლებლის დასაქმების პროცედურა განახორციელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ნ ბრძანების „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.“ აქედან გამომდინარე, ექსპერტების მიერ კვლავ გაიცა რეკომენდაცია საქმიანობის პროცესში მასწავლებელთა შერჩევა დაწესებულებას წარემართა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება N174/ნ-ის დაცვით.

ცირა ნიკოლაშვილმა განაცხადა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო საათობრივი ბადე არ მიჰყვებოდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას, რადგან შემუშავებული იყო თავად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. ცირა ნიკოლაშვილის თქმით, ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, ვიზიტის პერიოდში, სკოლამ საგანმანათლებლო რესურსცენტრში გააგზავნა შუამდგომლობის წერილი სასკოლო საათობრივი ბადის შეთანხმების მიზნით.

ექსპერტ, ცირა ნიკოლაშვილის განმარტებით, სკოლაში პირველი კლასიდან, გაზრდილი საათობრივი დატვირთვით ისწავლებოდა პირველი უცხოური ენა - ინგლისური ენა. მეორე უცხოური ენა-რუსული კი ისწავლებოდა მეორე კლასიდან. მისი თქმით, მეორე უცხოური ენის სწავლაში მოსწავლეებს არ ჰქონდათ ალტერნატივა, რის შესახებაც ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას მოსწავლეებისათვის ასარჩევად შეეთავაზებინა მინიმუმ ორი უცხოური ენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რა სახით ტარდებოდა დაწესებულებაში ორფის გაკვეთილები და რა ძირითად აქტივობებს მოიცავდა ის. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა ცირა ნიკოლაშვილმა განმარტა, რომ ორფის გაკვეთილებზე საკლასო ოთახები აღჭურვილი იყო რბილი იატაკითა და ხალიჩით, სადაც ისხდნენ მოსწავლეები. საკლასო ოთახში ასევე განთავსებული იყო მუსიკალური ინსტრუმენტები. მოსწავლეები ასრულებდნენ მასწავლებლის ინსტრუქციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 700 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
სკოლის დირექტორის განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 17 მარტის N57 გადაწყვეტილებით შპს ოლიმპი თბილისი +-სს 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2023 წლის 17 მარტს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ოლიმპი თბილისი +-ის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 700 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ოლიმპი თბილისი + -სს (ს/კ: 200240122) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 700 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 17 მარტი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.
საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლას განესაზღვრა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას ცენტრში უნდა წარმოედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან მიღებული წერილი საათობრივი ბადის შეთანხმებასთან დაკავშირებით. ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, სკოლის შენობის შესასვლელში პანდუსის დამონტაჟებისთანავე, ცენტრში წარმოედგინა პანდუსის დამონტაჟების დამადასტურებელი მტკიცებულება.

3. ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნანა მონიავამ და ნინო მუმლაძემ.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2022 წლის 27 და 28 დეკემბერს ქალაქ თელავში. მისი თქმით, სკოლის შენობა მდებარეობდა ქალაქ თელავში, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა N28-ში, 3563კვ.მ. მიწაზე. დაწესებულების შენობა იყო ორსართულიანი. ექსპერტმა განაცხადა, რომ შენობის პირველ სართულზე მდებარეობდა 5 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, მუსიკის ოთახი, სასადილო ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურს-ოთახი და სველი წერტილები. შენობის მეორე სართულზე კი მდებარეობდა 8 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ადმინისტრაციის ოთახი, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები და სველი წერტილები.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ დაწესებულება მეორე უცხოურ ენად მოსწავლეებს მესამე კლასიდან სთავაზობდა რუსულ ენას, ასევე, სკოლაში I-VI კლასებში დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების, სავალდებულო საგაკვეთილო სახით ისწავლებოდა საღვთო სჯული. აგრეთვე, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას-მეწარმეობის საფუძვლებს, რომელიც ისწავლებოდა ფაკულტატური სახით IV-VI კლასებში. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა გეგმავდა თეატრალური კლუბისა და კახეთის ისტორიულ-კულტურული ძეგლების შემსწავლელ პატარა მეცნიერთა კლუბის აღდგენას.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განმარტა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობდა შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევდა მათ, დაუფლებოდნენ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმაში იკითხებოდა შემდეგი ჩანაწერი: ,,სკოლაში არის დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომელიც საგნობრივ ქვეკათედრებად იყოფა“. აღნიშნულთან დაკავშირებით, ნანა მონიავამ განმარტა, რომ რადგან დაწესებულება აპირებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას, აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, სკოლას ჰქონოდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის კათედრა ან კათედრები ჩამოეყალიბებინა საგნობრივი ჯგუფების მიხედვით და არა ქვეკათედრებად. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია თითოეულ კათედრას შეეთანხმებინა და განესაზღვრა შემაჯამებელი დავალებების სხვადასხვა ტიპი, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა მოსწავლეთა მაღალი სააზროვნო უნარებისა და სხვა ტიპის უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე.

ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 13 საკლასო ოთახი. თითოეულ საკლასო ოთახში განთავსებული იყო ინდივიდუალურ საჭიროებაზე მორგებული მერხები. დაწესებულებაში ფუნქციონირებდა საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, ასევე, ბიბლიოთეკა.

ექსპერტის თქმით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში არ იყო დამონტაჟებული გამწოვი საშუალება. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდა მხოლოდ დაწყებით საფეხურზე, რის გამოც, დაწესებულება ამ ეტაპზე არ საჭიროებდა საბუნებისმეტყველო კაბინეტში გამწოვის დამონტაჟებას.
ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლის შენობაში 50 კვ.მ.-ზე განთავსებული იყო სპორტული დარბაზი. ასევე, სკოლის ეზოში მდებარეობდა ღია ფეხბურთის მოედანი. მისი თქმით, დაწესებულება ფლობდა სხვადასხვა სპორტულ ინვენტარს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას უწყვეტად მიეწოდებოდა ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. ყველა საკლასო ოთახი უზრუნველყოფილი იყო ბუნებრივი განათებითა და ცენტრალური გათბობის სისტემით. ექსპერტმა, განაცხადა, რომ სკოლის ორივე სართულზე მდებარეობდა გოგონებისათვის, ვაჟებისთვის და თანამშრომლებისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. მისი თქმით, მოსწავლეთათვის განკუთვნილ თითოეულ სველ წერტილში მდებარეობდა 2 კაბინა, რომელთაც არ ჰქონდათ კარი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ნანა მონიავას, თქმით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ყველა სველი წერტილი სკოლას მოეწესრიგებინა ისე, რომ ყველა კაბინას ჰქონოდა კარი.
ნანა მონიავამ განაცხადა, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტი განთავსებული იყო შენობის მეორე სართულზე, თუმცა ვიზიტის პერიოდში მოხდა მისი გადატანა სტანდარტის შესაბამისი ფართისა და განიავების შესაძლებლობის მქონე ოთახში, პირველ სართულზე. აქვე, ნანა მონიავამ დასძინა, რომ ექიმის კაბინეტი არ იყო აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით, რის შესახებაც, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია ექიმის კაბინეტი აღეჭურვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ნანა მონიავამ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მუშაობდა ექთანი და სკოლას არ ჰყავდა ექიმი. მან აქვე, დაამატა, რომ ვიზიტის პერიოდში სკოლამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციის კადრით უზრუნველყოფისათვის.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ შენობაში დამონტაჟებული იყო ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (6 შიდა და 4 გარე კამერა), რომლებიც აკონტროლებდა სკოლის შენობის ყველა შემოსასვლელს, სკოლის ეზოს, ღია სპორტულ მოედანს. მისი თქმით, 2 მცირე ზომის დერეფანსა და ერთი კიბის უჯრედში არ იყო დამონტაჟებული კამერები. ნანა მონიავამ, განმარტა, რომ დაწესებულებას დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, არსებული „ბრმა ზონების“ კამერებით უზრუნველყოფის შესახებ. მისი თქმით, დაწესებულებამ გააფორმა ხელშეკრულება შპს „ჰაიტექ სერვისებთნ“ 3 კამერის შესყიდვისა და დამონტაჟების შესახებ.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ სკოლას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. დაწესებულებაში ასწავლიდა 17 პედაგოგი. მისი თქმით, სკოლაში მასწავლებლები შერჩეული იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. თუმცა, ექსპერტის განმარტებით, მასწავლებელთა პირად საქმეში არ იყო წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას, ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, წარმოედგინათ ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის.
ექსპერტმა, ნანა მონიავამ, განაცხადა, რომ სკოლის შინაგანაწესში აღწერილი იყო სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სანქციების გამჭვირვალე სისტემით. ექსპერტის თქმით, შინაგანაწესით არ რეგულირდებოდა შრომითი ურთიერთობების წარმოშობის პირობები, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და

სამსახურებრივი შეთავსება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას ექსპერტების მხრიდან მიეცა რეკომენდაცია, შეემუშავებინა ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებდა კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავდა კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. აქვე, ნანა მონიავამ, დასძინა, რომ ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებთან მიმართებით, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას შეემუშავებინა პროფესიული მხარდაჭერისა და ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება, რაც დაეხმარებოდა სკოლას მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგისა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, რამდენად გაითვალისწინა და შეასრულა დაწესებულებამ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, თეა მახათელაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და გამოცხადებული ვაკანსიის შედეგად აიყვანა ექიმი, ასევე, მათ ექიმის კაბინეტის სრული პაკეტის აღჭურვილობის შესყიდვასთან დაკავშირებით, გაფორმებული ჰქონდათ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სრული აღჭურვილობა სკოლას მიმდინარე წლის მარტის ბოლოს მიეწოდებოდა. სველ წერტილებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას სველ წერტილში არსებული ყველა კაბინისთვის შეკვეთილი ჰქონდა 12 კარი. აქვე, თეა მახათელაშვილმა, დასძინა, რომ იანვრის ბოლომდე, ვიდეო მეთვალყურეობის კამერები დამონტაჟდებოდა ყველა საჭირო სივრცეში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, მანანა ჯინჭარაძემ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ თუ როგორ ახორციელებდა დაწესებულება მეწარმეობის საფუძვლების მოსწავლეებისათვის სწავლებას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, თეა მახათელაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა შემუშავებული ინდივიდუალური პროგრამა. აღნიშული საგნის ფარგლებში მოსწავლეებს უვითარდებოდათ სხვადასხვა უნარი და სამეწარმეო აზროვნება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინა კვირიკაშვილმა, განაცხადა, რომ ექსპერტებმა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით გასცეს რეკომენდაციები, თუმცა, მისი აზრით, სკოლაში არსებული შეუსაბამობები ექსპერტების მხრიდან უნდა შეფასებულიყო როგორც ხარვეზი. აქვე, ეკატერინე კვირიკაშვილმა, განმარტა, რომ სკოლაში არსებული ხარვეზებისა და რიგ შემთხვევებში კანონმდებლობასთან შეუსაბამო გარემოების შექნის გამო, ის დაწესებულებისთვის ავტორიზაციის მინიჭებას იმ შემთხვევაში დაუჭერდა მხარს თუკი სკოლა ექსპერტების მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდა და შეასრულებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ, როდის აპირებდა დაწესებულება სასწავლო პროცესის განახლებას. თეა მახათელაშვილმა განმარტა, რომ დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა 2022 წლის 25 ნოემბერს ამოეწურა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენლებს, განემარტათ, რატომ ვერ შეძლო დაწესებულებამ სტატუსის უწყვეტობის შენარჩუნება და მოსწავლეთა ზრუნვის სტანდარტის დაკმაყოფილება. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის წარმომადგენელმა, თეა მახათელაშვილმა, განმარტა, რომ დაწესებულება გადიოდა რეორგანიზაციის პროცესს და აპირებდა მხოლოდ დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. მისი თქმით, აღნიშნული პროცესი საჭიროებდა დიდ დროსა და ძალისხმევას, რის გამოც, დაწესებულებამ ვერ უზრუნველყო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარმოდგენა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, ირიცხებოდა თუ არა ამჟამად სკოლაში მოსწავლეები. თეა მახათელაშვილმა განმარტა, რომ სკოლის მოსწავლეების პირადი საქმეები მიღება-ჩაბარების აქტით სკოლის მხრიდან გადაეცა შესაბამის რესურსცენტრს. აქვე, მან დასძინა, რომ მოსწავლეების სურვილი იყო სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში დაბრუნებოდნენ სკოლას.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულებას დაეზუსტებინათ, ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, რა ვადაში შეძლებდა სკოლა ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციის შესრულებასა და დამადასტურებელი ფოტო-სურათების, დოკუმენტების ცენტრში წარდგენას. სკოლის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ აღნიშნულის განხორციელება დაწესებულებას შეეძლო 1 კვირის ვადაში.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 130 მოსწავლისთვის. აღნიშნული დაადასტურეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმაც. სკოლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს N134 გადაწყვეტილებით, 6 წლით ავტორიზაცია მიენიჭა 2016 წლის 25 ნოემბერს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა ამოეწურა 2022 წლის 25 ნოემბერს, შესაბამისად, დაწესებულება აყენებდა შუამდგომლობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის სტატუსის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით, მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით, ავტორიზაციის მინიჭების შემთხვევაში, გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2022 წლის 25 ნოემბერს. საბჭოს წევრები დაინტერესდნენ ჰქონდა თუ არა საბჭოს უფლებამოსილება ძველი თარიღით განესაზღვრა მიღებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა. ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განმარტა, რომ დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში განესაღვრა დაწესებულების ავტორიზაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:43 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:07 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 130 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

სკოლის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის გათვალისწინებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ავტორიზაციის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საკითხი - 2022 წლის 25 ნოემბერს.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

საბჭოს წევრებმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა, ნატო გაბოშვილმა და პეტრე ბაბილუამ მხარი არ დაუჭირეს დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭებას 2022 წლის 25 ნოემბრის თარიღით. საბჭოს წევრების განმარტებით, ავტორიზაცია წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის მნიშვნელოვან პროცესს, რომლის მიმართაც, დაწესებულება უნდა გამოხატავდეს მზაობას, თუმცა, სკოლამ არ გაითვალისწინა მოსწავლეების საუკეთესო ინტერესები და არ გამოიჩინა პასუხისმგებლობა საავტორიზაციო განაცხადის დადგენილ ვადებში წარდგენასთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყო სტატუსის უწყვეტობა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ-ალავერდის ეპარქიასთან არსებული წმიდა ბიძინა, შალვა და ელიზბარის სახ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას (ს/კ: 231284277) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 130 - ით. პროგრამის განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 25 ნოემბერი.

საბჭოს გადაწყვეტილებით, დაწესებულებას განესაზღვრა რეკომენდაცია, ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოედგინა ცენტრში საბჭოს სხდომის ოქმისა და გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ სკოლისათვის აღნიშნული თარიღით ავტორიზაციის მინიჭებას მხოლოდ მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალიწინებით დაუჭირა მხარი. მისი თქმით, თავად დაწესებულებამ არ გაითვალისწინა მოსწავლეების ინტერესები და ავტორიზაციის პროცესთან მიმართებით გამოიჩინა უპასუხისმგებლობა. საბჭოს თავმჯდომარემ მოუწოდა დაწესებულებას მსგავს გარემოებას აღარ ჰქონოდა ადგილი. საბჭოს წევრებმა, გაიზიარეს დავით მალაზონიას მოსაზრება.

საბჭოს სხდომა 18:18 საათზე დატოვეს საბჭოს წევრებმა, ზვიად გოგუაძემ და ეკატერინე კვირიკაშვილმა.

4. შპს დეას ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ,

რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, დავით ლიპარტელიანმა და მარიამ ხუციშვილმა.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას სტანდარტთან შესაბამისობაში ხარვეზი არ უფიქსირდებოდა, თუმცა ექსპერტების მხრიდან სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია.

დავით ლიპარტელიანმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება ჩართული იყო Microsoft Showcase School პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც, მიმდინარეობდა სკოლის საჭიროებების დადგენა და მასწავლებელთა გადამზადება. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ Microsoft Showcase მოთხოვნის შესაბამისად, ისტ-ის მასწავლებელი გახდა ინოვაციური განათლების ექსპერტი. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის მიმდინარეობისას დაწესებულებამ გაიარა Microsoft-ის სერტიფიცირება, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ, რის შედეგადაც, სკოლისათვის შეიქმნა კორპორატიული ელ-ფოსტა. პროექტის დასრულების შემდგომ, სკოლას გადაეცა სერტიფიკატი Microsoft Showcase Incubator პროგრამაში მონაწილეობისათვის.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას ვიდეო-მეთვალყურეობის კამერა დამონტაჟებული ჰქონდა სპორტულ დარბაზში, ხოლო ე.წ. ვერანდა ვიდეო-კამერებით არ კონტროლდებოდა, აქედან გამომდინარე , ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაცია ვიდეო-კამერების სპორტულ დარბაზში მოხსნისა და ვერანდაზე გადატანის შესახებ. დავით ლიპარტელიანმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში მასწავლებლები შერჩეული იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, თუმცა, მისი თქმით, ერთ-ერთ მასწავლებელს სტატუსი მოპოვებული ჰქონდა ბუნებისმეტყველებაში და, ასევე, ასწავლიდა საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში გაერთიანებულ სავალდებულო საგნებს, მათ შორის, მე და საზოგადოებასა და სამოქალაქო განათლებას. დავით ლიპარტელიანმა განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის საფუძველზე, სკოლამ აღნიშნული საათები გადაანაწილა შესაბამისი საგნობრივი ჯგუფების უფროს მასწავლებლებზე.
ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის, განცხადებით, სკოლის შინაგანაწესის მიხედვით, გაწერილი იყო თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, თუმცა, დაწესებულებას შინაგანაწესში არ ჰქონდა გაწერილი შიდა ვაკანსიის გამოცხადების პროცედურა, რასთან დაკავშირებითაც ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებას სკოლის შინაგანაწესში შეეტანა ცვლილებები და გაეწერა შიდა ვაკანსიის გამოცხადების პროცედურა. დავით ლიპარტელიანმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდშივე გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ირიცხებოდა ერთი სსსმ მოსწავლე, რომელიც შეფასებული იყო მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და შეფასების საფუძველზე, დამტკიცებული იყო ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. ექსპერტის განცხადებით, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნით მოსწავლესთან უნდა ემუშავა სპეციალურ მასწავლებელს, თუმცა, ვიზიტის პერიოდში სკოლას არ ჰყავდა სპეციალური

მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულებაში სპეციალური მასწავლებლის აყვანასთან დაკავშირებით. დავით ლიპარტელიანმა დაადასტურა, რომ დაწესებულებამ გამოაცხადა ვაკანსია და აიყვანა სპეციალური მასწავლებელი. ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, აქვე, განმარტა, რომ სკოლის ფსიქოლოგთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ ამავე მოსწავლეს 2022-2023 სასწავლო წელს შეთავაზებული ჰქონდა ნაწილობრივი ტიპის სასწავლო გეგმით სწავლება, რომელიც არ იყო გაწერილი მულტიდისციპლინური ჯგუფის დასკვნაში. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა რეკომენდაცია, დაწესებულენას სწავლების ფორმა შეეთანხმებინა მულტიდისციპლინურ გუნდთან.

ექსპერტმა, დავით ლიპარტელიანმა, განაცხადა, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას უდასტურდებოდა 265 ინდივიდუალური მერხისა და სკამის ფლობა, თუმცა სკოლას საავტორიზაციო განაცხადი წარმოდგენილი ჰქონდა 300 მოსწავლეზე. ექსპერტ, დავით ლიპარტელიანის თქმით, დაწესებულებამ წარმოადგინა დამატებით 50 მერხისა და სკამის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რის შედეგადაც, შესაძლებელი გახდა მოსწავლეთა კონტიგენტის 300-ით განსაზღვრა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

სკოლის დირექტორის, ვერა ყურულაშვილის, განცხადებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 27 თებერვლის N38 გადაწყვეტილებით, შპს დეას 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია. სკოლა შუამდგომლობდა საბჭოსთან ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში და მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო საბჭოს სხდომის ჩატარების დღეს, 2023 წლის 20 იანვარს. საბჭოს წევრებმა ერთხმად გაიზიარეს წარმოდგენილი შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს დეას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს დეას (ს/კ: 200055992) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების

განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 20 იანვარი. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 18:05 საათზე დასრულებულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა